ასაკი წიგნიერების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქარგა

ძიებითი ძიებითი

ქუთაისი-2017

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირინა უგრეხელიძე, ელისო ჩუბინიძე

ქ ა რ გ ვ ა

მეთოდური მითითება ქარგვის შესწავლის
მსურველთათვის

ქუთაისი - 2017

შესავალი

გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობა – ხელით ქარგვა მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. ყველა ერს მისთვის დამახასიათებელი ნაქარგის სახეობა, ორნამენტი, ფერთა შეხამება, კომპოზიცია და შესრულების ტექნიკა გააჩნია. გამონაკლისს არც ქართველი ერი წარმოადგენს, ჩვენმა ხალხი უძველესი დროიდან ფლობდა ფეიქრობის, ქარგვისა და ქსოვის ხელოვნებას – „ქსოვა - მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა გავრცელებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. რთვა - ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა, ქართულ ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები ქმრის ოჯახისთვის მიჰქონდა“– აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი [1].

ყოველ ისტორიულ ეპოქას შეჰქონდა განსაკუთრებული ნიშნები ქარგვის ხელოვნების განვითარებასა და ევოლუციის პროცესში. ქართულმა ქარგულობამ სხვადასხვა პერიოდში ბიზანტიის, სპარსეთის, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნების გავლენა განიცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველმა მქარგველებმა შეინარჩუნეს ადგილობრივი ორნამენტული მოტივი და იკონოგრაფიული ტრადიციები.

ამ შესანიშნავი ხელოვნების ნიმუშებმა ჩვენამდე არც თუ უმნიშვნელო რაოდენობით მოაღწია. მათი უმეტესობა მასალის სუსტი გამძლეობისა და გარეშე მტერთაგან არაერთგზის დარბევა-გაძარცვის გამო განადგურდა. გადარჩენილი უძველესი ნიმუშები, როგორც ხელოვნების ძეგლები, დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში. ეს ექსპონატები დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად განირჩევა – საერო და საეკლესიო ნაქარგობად.

საკვლევი თემატიკის თანახმად ჩვენთვის საინტერესოა საერო ნაქარგობა, მისი კვლევა და ანალიზი, კოსტიუმის დიზაინში შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ეტაპზე, მოდის კონკურენტულ სამყაროში, რთულია დიზაინერმა დაიმკვიდროს ადგილი და სახელი მოიხვეჭოს ინდივიდუალური ხელწერის, განუმეორებლობისა და საკუთარი სტილის გარეშე. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მაღალი მოდის სამყაროში „კუტიურიეს“ სახელის მოსაპოვებლად გარკვეული მოთხოვნების შესრულებაა აუცილებელი, მათ შორის იმისიც, რომ დიზაინერის მიერ წარმოდგენილი კოლექციის 70% ხელით ნამუშევარი უნდა იყოს. ხელით შესრულებული ნაქარგობით დამშვენებული ტანსაცმელი ამ მოთხოვნის დიდ ნაწილს აკმაყოფილებს და ხშირად დიზაინერების კოლექციებიც ქარგვის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით არის შესრულებული. სწორედ ამიტომ, საჭირო და აუცილებელია დიზაინის სპეციალობის სტუდენტი, მომავალი პროფესიონალი მოდელიორი, სათანადოდ გაეცნოს ნაქარგობის შესრულების ტექნიკას, მის სხვადასხვა სახეობებს, მასალებს, ტრადიციულ ხერხებს და თანამედროვე სიახლეებს, რათა პროფესიული მოღვაწეობისას წარმატების გამოიყენოს საკუთარი იდეების ხორცშესხმისას. ქართულ რეალობაში ამას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი ტრადიციულად განვითარებული იყო ჩვენს ქვეყანაში და ორნამენტები, მოტივები და შესრულების ხერხები, რომლებიც თანდათან დავიწყებას მიეცა, შთაგონების ახალი წყარო იქნება დიზაინერებისათვის.

ქართული ნაქარგობა უძველესი დროიდან ამშვენებდა ეროვნულ კოსტიუმს. ჩვენი ხალხი საუცხოო ნაქარგ ნივთებს ქმნიდა, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი. ხელოვნების სასახლეში მე-17 საუკუნის ბანოვანის ოქრომკედით ნაქარგი სამოსია დაცული, რომელიც მართლაც დიდ მოწონებას იმსახურებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხევსურულ ტალავარსა და ქართული კაბის ულამაზეს აქსესუარებზე: გულისპირზე, სარტყელსა და თავსაკრავებზე. სამოსის გარდა ნაქარგობით ამკობდნენ საყოფაცხოვრებო ნივთებსაც – ქისებს, სათუთუნეებს, ხელჩანთებს, იარაღის ბუდეებს, ცხენის აღკაზმულოდას და სხვ. ძველთაგანვე გავრცელებული იყო ქარგვის სხვადასხვა სახეობა, ე.წ. საქარგავი სახეები. მათ შორის ყველაზე დამახასიათებელი ქართული ყოფისათვის სითვით ნაქარგობაა, რომელსაც ნაცურის სახელითაც მოიხსენებენ. ნაქარგობის ამ სახეობას, ძირითადად, ატლასზე, აბრეშუმსა და ხავერდზე დასაქარგად იყენებდნენ. ორნამენტების სახეებიდან ყველაზე გავრცელებული იყო მცენარეული ორნამენტები, მათ ხშირად ყაბალახებზეც ქარგავდნენ. მცენარეულ ნაქარგში იყენებდნენ ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ გამოსახულებებს – თავთავებს, ყურძნის მტევნებს, ყვავილებს, ფოთლებს, ვაზის ხვეულებს, მცენარის ტოტებს და ისეთ სახეებს, რომელთა დახმარებით სიცოცხლის ხის ასოციაცია წარმოიქმნებოდა. მთიან რეგიონში გავრცელებული სახეობაა ჯვრული ნაქარგობა, ის, ძირითადად, ხევსურულ სამოსზე გვხვდება. ხევსურული ჯვრული ნაქარგობის ორნამენტი მკაცრად გეომეტრიულია და მისი ძირითადი ფიგურაც ჯვარია. ჯვრული ორნამენტი ხევსურთათვის მხოლოდ რელიგიური ნიშანი როდი იყო. მას ბოროტი ძალებისაგან თავდაცვის ფუნქცია გააჩნდა და წარმართული პერიოდშიც, როგორც სამყაროს ოთხი მხრის აღმნიშვნელი სიმბოლო, ფართოდ გამოყენებულ ორნამენტს წარმოადგენდა.

ქართული ტრადიციული ნაქარგობა განსაკუთრებით ძალზე დიდ მოტივებს იძლევა საღამოს ანსამბლებისა და საქორწილო კაბებისათვის. გარდა ამისა უამრავი იდეის მოძიება შეიძლება ყოველდღიური სამოსისა და საბავშვო ნაწარმისათვის, ხელჩანთების, სამკაულებისა და სხვა აქსესუარებისათვის.

სხვადსხვა ბრენდები და წამყვანი მოდელების სახლები ძალზე წარმატებულად იყენებენ ნაქარგობით დამშვენებული კოსტიუმის ეფექტურობას მოდის ინდუსტრიაში. ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი ხელით მოქარგული ექსკლუზიური კოსტიუმები, შეიძლება ითქვას, რომ განუმეორებელ შედევრებს წარმოადგენენ. ნაქარგობით შემკულია არამარტო სადღესასწაულო სამოსი და აქსესუარები, არამედ ჯინსის ქსოვილის ტანსაცმელი და ქალის გამოსასვლელი ფეხსაცმელი.

ქარგვის მეთოდები და ტექნიკური ხერხები

ქართველი ოსტატები ქარგვისას ტრადიციულად იყენებდნენ როგორც ეროვნულ, ისე აღმოსავლურ დეკორატიულ მოტივებს, ითვისებდნენ და ეუფლებოდნენ ოქრომკედის დამზადების რთულ ტექნიკას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფერებს და მათ ურთიერთშეხამებას.

ესთეტიკური დანიშნულების გარდა ორნამენტი ხშირ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი იყო და ბნელი ძალებისაგან თავდასაცავი დანიშნულება ჰქონდა.

არსებობს ქარგვის მრავალი სხვადასხვა ტრადიციული ტექნიკა, რომლებიც წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული კოსტიუმის თანამედროვე დიზაინში. ისინი ერთმანეთისაგან გასხვავდებიან გამოყენებული მასალების (საქარგავი ძაფი, ქსოვილი და სხვ.), ნაკერის (გვირისტის) სახეების, საქარგავი სამარჯვი ინსტრუმენტების, ქარგვის ხერხების, შესრულების სირთულის, შრომატევადობის და ა. შ. მიხედვით.

საქარგავად გამოყენებული მასალების (რითიც უნდა დაიქარგოს) მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

1. ოქრომკედით ქარგვა – ოქროს ძაფით ქარგვა. დღესდღეისობით გამოიყენება ხელოვნური – მეტალიზებული ან პოლიმერული ძაფი, ვერცხლისა და ოქროს ფერის, რომელიც დახვეულია სინტეტიკურ ძაფზე, ხოლო ისტორიულად ეს იყო ვერცხლის ან ოქროს უთხელესი ბრტყელი ზოლი – ე.წ. სხეპლა, რომელიც აბრეშუმის ძაფზე იყო დახვეული. მასალის სიძვირისა და ასევე, ხელსაქმეზე დასახარჯი დროის მოცულობის გამო, ოქრომკედით ქარგვა ძირითადად დედოფლებისა და დიდგვაროვან ქალთა საქმე იყო.

2. ზეზით ქარგვა – ოქროსა და აბრეშუმის შეგრეხილი ძაფებით ქარგვა, რომელიც ფერად, მაგრამ ძვირფასად აელვარებულ ზედაპირს გვაძლევს. სამწუხაროდ, საქართველოში აბრეშუმის ძაფი ძნელად იშოვება და ხშირად მულინეს (ბამბის) ძაფსაც ვიყენებ. ასევე, იყენებენ ვისკოზასაც, ე.წ. „ხელოვნურ აბრეშუმს“, მაგრამ მისი გამოყენება სისუსტისა და ვარგისიანობის მოკლე ვადის გამო (შედარებისთვის – აბრეშუმის ძაფის ვარგისიანობა 45–50 წელია, ხოლო ვისკოზისა–5–6) მიზანშეწონილი არ არის.

3. ფერადი ძაფებით ქარგვა – სითვი (ე.წ. „წყალი“, ანუ ნაცური), რომელიც რამოდენიმენაირი არსებობს. საქართველოში ძირითადად ქარგავენ ე.წ. ატლასის სითვით, რომელიც მართლაც წყლისმაგვარ, ოდნავ ტალღოვან ზედაპირს გვაძლევს. სითვის ტექნიკას განეკუთვნება ძაფის გახლეჩით ქარგვა, რომელიც უფრო გლუვი და მკვრივი ზედაპირის მქონეა.

4. თვალ-მარგალიტით ქარგვა, ძირითადად ნაქარგობის დამატებით შესამკობად გამოიყენება. მძივების მიმაგრებისათვის გასანთლული ძაფია საჭირო.

5. ლენტებითა და სუტაჟით ქარგვა.

6. აპლიკაციით ქარგვა – ქვილთი.

ყველაზე შრომატევადი და რთული ოქრომკედით ქარგვაა.

გამოყენებული დასაქარგი მასალების (რაზეც უნდა დაიქარგოს) მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

1. ტილოზე და ბატისტაზე ქარგვა, გამოიყენება ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმელის გასაფორმებლად, საწოლის თეთრეულისათვის, მაგიდის საფარების, ხელსახოცებისა და ჩაის ტილოებისათვის;
2. აბრაშუმსა და ბარხატზე ქარგვა;
3. კანვაზე ქარგვა, ძირითადად გამოიყენება ინტერიერის დეკორატიულად გაფორმებისათვის.

   საქარგავი სამარჯვი ინსტრუმენტების მიხედვით:

1. ქარგაზე ქარგვა (იგივა ჯალდა);
2. ხელში –სამარჯვის გარეშე ქარგვა.

ნაკერის (გვირისტის) სახეების მიხედვით: ჯვრული, ნაცურით, ყაისნაღური, გობელენური, აღმოსავლური ნაცური, მხატვრული ნაცური, რიშელიე, მარყუჟული, კორდონე, ბადისებური, აჟურული და ა.შ.

ჯვრებითქარგვა

საქარგი მასალები

ქსოვილები. მათთვის, ვინც ქარგვაში პირველი ნაბიჯების გადადგმას აპირებს ყველაზე მარტივი და ნაკლებად პრობლემატური ჯვრული ქარგვაა, რომლის დროსაც სპეციალური ქსოვილი „კანვა“ გამოიყენება. კანვა ტილოსმაგვარი ქსოვილია, მაგარამ ბევრად უფრო გამოკვეთილი უჯრედებით (ნასვრეტებით) ქსელისა და მისაქსელის ძაფების გადახლართვებს შორის.



კანვის სახეობებს შორის ყველაზე პრაქტიკული და გავრცელებულია ''Aida''-ს ტიპის კანვა, რომელიც თავისი ზუსტი და ადვილად შესამჩნევი მცირე ზომის კვადრატების წყალობით ამარტივებს ქარგვის პროცესს, საინტერესოს და სასიამოვნოს ხდის მას.

საკმარისია, სასურველი სქემის მიხედვით ამოქარგოთ ჯვრები კანვის თითოეულ უჯრაში და მიიღებთ შესანიშნავ სურათს. არსებობს კანვის ქსოვილების მრავალფეროვანი არჩევანი მისი უჯრედების ზომისა და, თავად კანვის შეფერილობის მიხედვით. საქარგავად კი გრძელყუნწიანი ნემსები და ფერადი ''მულინეს'' ძაფები დაგჭირდებათ. თუმცა, კანვაზე ჯვარედინი გვირისტის გარდა ქარგვის სხვა გზებიც არსებობს. გვირისტების კომბინირების შემთხვევაში კი შეგიძლიათ შექმნათ ნამდვილი შედევრები. კანვის ტიპის შესაბამისად უნდა შეარჩიოთ საქარგავი ძაფის სისქეც.

ძაფის არჩევა

მულინე. ქარგვის დწყებამდე პირველ რიგში აუცილებელია შევარჩიოთ ხარისხიანი ძაფები. ძაფის ასარჩევად საჭიროა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება. ხარისხიანი ძაფი მთელ სიგრძეზე უნდა იყოს თანაბარი სიგანის, სუფთა, ხასხასა ფერის, არ უნდა იწეწებოდეს, და რაც მთავარია, არ უნდა ხუნდებოდეს მზეზე. ძაფის გორგალზე მითითებული ნომერი ზუსტად უნდა ემთხვეოდეს მის ფერს. ძაფის ხარისხის შემოწმება შეიძლება ძალიან მარტივი ხერხით. ამისათვის საკმარისია ძაფი დავასველოთ ცხელ წყალში, მისი ერთი ბოლო ჩავდოთ თეთრ ხელსახოცში, ხელსახოცს მოვუჭიროთ თითები და მეორე ხელით ძაფი გავწიოთ დაჭიმულ მდგომარეობაში. უხარისხო ძაფი აუცილებლად დატოვებს ხელსახოცზე საღებავის კვალს. იგივე ხერხით შეიძლება ძაფის ხარისხის შემოწმება მაღაზიაში სველი ხელსახოცით.

მოსაქარგად შეიძლება გამოვიყენოთ შალის, აბრეშუმის ან მულინეს ძაფები. ამათგან თვითოეულს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ ძაფებიდან საუკეთესოა მულინე, რადგან შალს დროთა განმავლობაში უჩნდება ჩრჩილი, ხოლო აბრეშუმით ნაქარგი კი ხუნდება და კარგავს პირვანდელ სახეს. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ იმუშავებთ მულინეს ძაფებით. ყველაზე მოხერხებულია, თუ ძაფის სიგრძე მუშაობის პროცესში არ იქნება 50-60სმ-ზე მეტი.

ქარგვის პროცესში ძაფის ბოლო არ გამოკვანძოთ, არამედ მუშაობის დაწყებამდე ჩაამაგრეთ საქარგავი ძაფი ქსოვილზე, კვანძის გარეშე. ყველაზე უფრო გავრცელებულია და მარტივია ნაქარგის წაღმა პირზე 3-4 მოკლე გვირისტის გაკეთება, იმ ადგილას, რომელიც შემდეგ ნაქარგით დაიფარება. გარდა ამისა არსებობს ძაფის ჩამაგრების სხვაგვარი ხერხებიც:

1. გავაკეთოთ ერთი მოკლე გვირისტი, ქსოვილში გატარების შემდეგ დარჩენილი ძაფის ბოლო მეორე გვირისტით მივაკეროთ, ხოლო ძაფის ნარჩენი მაკრატლით მოვაჭრათ. შემდეგ ეს ადგილი ნაქარგით დავფაროთ. ქარგვის დამთავრების შემდეგ სამუშაო ძაფი მცირე გვირისტებით ნაქარგობის ქვეშ გავატაროთ;

ნაკერის სახეები

ქარგვის საფუძველს წარმოადგენს ნაკერი, რომელიც შედგება გვირისტებისაგან. გვირისტი არის მანძილი ნემსის ორ ნაჩხვლეტს შორის. არსებობს სხვადასხვა სახის გვირისტი და შესაბამისა, ნაკერიც.

ქსოვილზე გადატანილი ნახატის დაფარვისას ნებისმიერი ნაკერით მიიღება სითვა, ანუ ნაცური. ქარგვის დაუფლებისათვის აუცილებელია ნაკერების ძირითადი სახეების შესწავლა.

მარტივი სახის ნაკერები

სალამბავი ნაკერი ყველაზე მარტივი ნაკერია. გვირისტის სიგრძე დამოკიდებულიაქსოვილის სისქეზე. თხელ ქსოვილზე კეთდება შედარებით მოკლე გვირისტები, სქელ ქსოვილებზე უფრო გრძელი. აუცილებელია გვირისტებს შორის ერთი და იგივე მანძილის დაცვა. ასეთი ნაკერი გამოიყენება როგორც ნახატის კონტურის შემოსავლებად ქარგვის დაწყებამდე, ისე დამოუკიდებელ საქარგავ ნაკერად.

3
1
2


სალამბავი ნაკერი
2
1
4
3

ხვიარა ნაკერი გამოიყენება კონტურის კვანძებისა და ყვავილების კონტურების ამოსაქარგავად. მას ასრულებენ ნემსის უკან ჩაბრუნების ხერხის გამოყენებით ანუ ყოველი ახალი გვირისტის შესრულება ხდება უკან დაბრუნებით. დაამაგრებთ რა ძაფს ქსოვილზე, ნემსის თავი ქსოვილის პირით მხარეზე ამოიყვანეთ და მასზე 2-4 ცალი ძაფი მოაგროვეთ. ძაფი კარგად გაწელეთ და კვლავ უკან დააბრუნეთ, რომლის დროსაც, როგორც პირველი გვირისტის შემთხვევაში, ნემსზე კვლავ იგივე რაოდენობის ძაფები მოაგროვეთ. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ გვირისტები ყველა ერთნაირი ზომის უნდა იყოს და ნემსის ყოველი მომდევნო ამოყვანა, ქსოვილის პირით მხარეს, წინა გვირისტის შუაში უნდა მოხდეს.



ხავერდისებრი ნაკერი – ე. წ. „თიკანი“ ასეთი სახის ნაკერები საბავშვო ტანსაცმლის მოსართავად გამოიყენება. ის თანამკვეთი გვირისტების ერთობლიობას წარმოადგენს: ორ პარალელურ რიგს ქსოვილის უკანა და პირით მხარეზე. თუ თიკანი“ სწორ ზოლად კეთდება, მაშინ საქსოვ მასალაზე მონიშნება ორი პარალელური ხაზი, რომელთა შორის მანძილი ზოლის სიგანის ტოლია. მკვრივი ქსოვილების შემთხვევაში, საჭიროა გამოვიყენოთ ორმაგი ძაფი. ქარგვა უნდა დავიწყოთ ქვემოდან ზემოთ. გვირისტები უნდა გავაკეთოთ ჩვენგან, ხოლო ნემსი მივმართოთ ჩვენსკენ. ხავერდისებრი ნაკერით შეგიძლიათ შეავსოთ, აგრეთვე, მცირე ზომის ყვავილები და ფოთლები, სხვა რომელიმე სახეობის ქარგვის დროს. “Tikani” შეიძლება გაალამაზოთ, თუ სხვადასხვა ფერის ძაფებს გამოიყენებთ. ამ სახის ნაკერი შეიძლება გააკეთოთ 3-4 სხვადასხვა ფერის ძაფით, ამასთან ფერები კარგად უნდა შეარჩიოთ. ჯერ “Tikani”-ს ერთი რომელიმე ფერის ძაფით ასრულებენ, ხოლო 2-ე ფერის გვირისტებს პირველი ფერის გვირისტების პარალელურად, მასთან მიჯრით ასრულებენ. შემდეგ იგივეს აკეთებენ 3-ე და 4-ე ფერის ძაფებითაც.


2
4
6
8
1
3
5
7


14
12
10
13
11
9


3
2
6
1
5
4

5
7
6
4
3
8
1
2

ტამბურული (კილოკავისებური) ნაკერი ნაკერი გამოიყენება ზოგიერთი სახის კონტურული უზორის ქარგვისას, ასევე ასეთი ნაკერებით ხდება შევსება უზორებისა, რომლებიც ხვიარა ნაკერითაა შესრულებული (მცირე ზომის ყვავილები, თავთავი). ის წარმოადგენს ერთნაირი ზომის, ერთმანეთისაგან გამომავალი მარყუჟების რიგს. მათი ჯაჭვის ფორმა და სიდიდე შეიძლება იყოს სხვადასხვა. ქსოვილზე ძაფის დამაგრებისა და მისი ქსოვილის წინა მხარეზე გამოყვანის შემდეგ, უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირად: ძაფი შევკრათ ყულფის სახით, დავიჭიროთ ის თავისუფალი ხელის ცერა თითით და, იმავე ნასვრეტით, ნემსი ქსოვილის უკანა მხარეზე გავატაროთ. ასეთ შემთხვევაში, ნემსი უკანა მხარეზე ზუსტად ყულფის ქვეშ გავა. ამის შემდეგ, ნემსი ყულფის შუაში ამოვატაროთ.



მარტივი ნაკერების გამოყენებით შესაძლოა სხვადასხვაგვარი ნახჭის მიღება:



B
A
B
A


1
2
3
1
4
2
3

ნაკერებით „ზონარი“ და „ორთითა“ შეიძლება მოირთოს ჯიბეები, კაბის კოკეტები. ამონაქარგი განსაკუთრებით ლამაზია მაშინ, როცა ის შესრულებულია იმავე მასალის ძაფით, რისგანაც თვითონ ქსოვილია დამზადებული. ქარგვისათვის განკუთვნილ ქსოვილზე წინასწარ დავიტანოთ რომბების ბადე. რომბის გვერდის სიგრძე 2-3 სმ-ის ტოლი უნდა იყოს. ბადის ყველა ხაზის გასწვრივ გავაკეთოთ ნაკერი „ნემსით წინ“. გვირისტები და მანძილი ორ მომდევნო გვირისტს შორის ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს და 5 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამის შემდეგ: 1. ყოველი გვირისტის ქვეშ, ზემოდან ქვემოთ, ახალი ძაფით გვირისტები შევასრულოთ. შედეგად მივიღებთ ნაკერს, რომელსაც „ზონარი“ ეწოდება; 2. თუ ახალ ძაფს ხან ზემოდან, ხან კი ქვემოდან, გავატარებთ მივიღებთ ნაკერს, რომელსაც „ორთითა“ ეწოდება. ბადის ხაზების გადაკვეთის წერტილები შეიძლება გავალამაზოთ ტამბურული ყულფებით ან მათ მძივები დავაკეროთ.





მარყუჟისებრი ნაკერი

მარყუჟისებრი ან **ამოსახვევი ნაკერი** გამოიყენება, როგორც ქსოვილის დეკორატიული ამოხვევისათვის, ასევე საქარგავად. ნაკერი სრულდება მარცხნიდან მარჯვნივ ან პირიქით- მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც უფრო მოსახერხებელია მქარგველისათვის.

ქსოვილის ჭრილის ამოხვევისას (უმჯობესია ჭრილი მოიკეცოს), უკუღმა პირზე ძაფის ჩამაგრების შემდეგ, ნემსი ამოგვყავს წაღმა პირზე, ჭრილის პერპენდიკულარულად, მისგან რამდენიმე ძაფის დაშორებით იმ მანძილზე, რა მანზილე, რა სიმაღლის ნაკერის მიღება გვსურს. მარცხენა ხელის დიდი თითის დახმარებით საქარგავი ძაფისაგან დაფანილ მარყუჟში ამოგვყაქვს ნემსი ისე, რომ ძაფი მოხვდეს მისი წვერის ქვეშ, რის შემდეგაც ხდება ძაფის მოჭიმვა ქსოვილის კიდეზე.



შემდეგ იგივე მეორდება პირველი გვირისტის პარალელურად. გვირისტების კიდეები ერთმანეთს უკავშირდებიან უწყვეტად და იქმნება ნაკერის ნაწიბური. განსხვავებული სიგრძის გვირისტების კიდეები ერთმანეთს უკავშირდება უწყვეტად და იქმნება ნაკერის ნაწიბური.

განსხვავებული სიგრძის გვირისტების ერთმენეთის მიმართ სხვადასხვა მანძილზე განლაგებით იქმნება დეკორატიული ეფექტი.

სწორი კუთხეების ან მომრგვალებულიადგილების დამუშავებისას ძაფი არ უნდა უყოს დაჭიმული. ქსოვილის დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად ნაკერი უნდა სრულდებოდეს თავისუფლად.

ცალკე უნდა განვიხილოთ მარყუჟისებრი ნაკერის გამოყენება ე. წ. **რიშელიეს ნაქარგობაში.**

,,რიშელიეს“ ნაქარგობისათვის დამახასიათებელია ნაქარგის ცალკეულ უბნებზე ამოჭრილი მონაკვეთები, რომელთა კიდეები ერთდება ხიდებით(ე.წ. ,,ბრიდებით“).

ხიდები კეთდება ნაქარგის კონტურის შემოვლებისას, რისთვისას ძაფი ჯერ ჩამაგრდება ნაქარგის შიგნითა კონტურზე, შემდეგ გაიდება წაღმა პირზე მოპირდაპირე წერტილამდე ერთხელ ან სამჯერ, რის სემდეგაც იწყება ხიდის შემოკერვა ქსოვილთან შეხების გარეშე, უკვე გატარებული კონტურის მიმართულებით.

ხიდის შემოკერვის შემდეგ ნემსი აღმოჩნდება მის დასაწყისთან, რის შემდეგაც გრძელდება ნახატის კონტურის გავლება შემდეგ ხიდამდე დ ასე შემდეგ.

ერთმაგი, მარტივი ხიდების გარდა არსებობს რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი რთული ხიდები - სამნაწილიანი, ურთიერთგადამკვეთი და ა.შ.

სამნაწილიანი ხიდის მისაღებად ძაფი უნდა გავდოთ ჯერ მისი გრძელი გვერდისათვის, რომლის შუა წრერტილამდე შემოკერვის შემდეგ ხდება ძაფის გადება მოკლე გვერდისათვის, მისი შემოკერვის შემდეგ გრძელდება ხიდის გრძელი ნაწილის შემოკერვა შეწყვეტის წერტილიდან.

თვლადი ნაქარგები

თვლადი ნაქარგები (მაგალითად, ქარგვა ჯვრით) მოსახერხებელია შევასრულოთ ტილოზე ან ტილოგადაკრულ ქსოვილზე, რომლებზეც ძნელი არაა დავითვალოთ ძაფების რაოდენობა. ასეთი ნაკერებით გეომეტრიული ხასიათის (სწორი ხაზებით) ნახატებს აკეთებენ. თვლადი ნაქარგების (ხალხური, ტრადიციული ნაქარგები) უმრავლესობა სრულდება ერთიან ქსოვილზე ან გამჭოლ ქსოვილზე, რომელიც წინასწარაა გამეჩხრებული მისგან ძაფების გამოგლეჯის (გამოწელვის) გზით. ამ დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ სარჩული, რომელიც, როგორც წესი, შედის ქარგვის ნაკრების შემადგენლობაში.

გამჭოლი თვლადი ნაკერი



ასეთი ტიპის ნაკერებს მიეკუთვნებიან ჭვირნარის (ნაჩვრეტებიანი გვირისტი) სხვადასხვა სახეები. ეს არის ვიწრო, გვირისტული ნაკერი, რომელსაც ქსოვილიდან გამოძრობილი ძაფებით გამოყენებით აკეთებენ. თითოეულ ჭვირნარს ასრულებენ ქარგებზე მარცხნიდან მარჯვნივ კოჭებად დახვეული ძაფებით (№№ 40, 50, 60, 80). ჭვირნარი გამოიყენება არა მარტო როგორც ქარგვის დამოუკიდებელი სახეობა, არამედ მისი საშუალებით ქარგვის სხვა სახეობების ფრაგმენტებსაც ხშირად ავსებენ. ჭვირნარის პირველი გვირისტის მისაღებად, ნემსი მომავალში მისაღები სვეტის ძაფებს შორის უნდა გავატაროთ და შევარჭოთ ის მასალაში, ჭვირნარის კიდიდან 2-3 ძაფის დაშორებით. შემდეგ, სამუშაო ძაფს, მარჯვნიდან მარცხნივ, ყულფის სახით დებენ, ნემსის წვერით იღებენ ჭვირნარის 4 ძაფს და ყულფად მოჭიმავენ. ნაკეთობის კიდეების შემოსაკერად, საჭიროა მისი თანაბრად შემოჭრა ძაფის გასწვრივ. ამისათვის, ქსოვილის კიდედან უნდა გამოვგლიჯოთ პირველი მთლიანი ძაფი და ქსოვილი მისი კვალის გასწვრივ შემოვჭრათ. შემდგომ, განვსაზღვროთ მონაჭრის სიგანე: თუ სიგანე 2 სმ-ია, მაშინ ჭვირნარის კეთებას ქსოვილის კიდიდან 4,5 სმ-ზე იწყებენ, ტოვებენ რა ადგილს შემონაკეცისათვის.

როცა შემონაკეცს სუფრის გადასაფარებელს უკეთებენ, ქსოვილის ოთხივე მხარის კიდეებიდან თითო ძაფს აცლიან (ნემსის გამოყენებით). შემდეგ, შესასრულებელი ჭვირნარის სიგანის მიხედვით, ოთხივე მხარეს აცლიან კიდევ 3-4 ძაფს. სამუშაო ძაფის მოძრაობა წარმოდგენილ ნახატებზეა გამოსახული. უმარტივეს ჭვირნარებს მიეკუთვნებიან „ხოჭო“, „პანკა“ და საქსელე ჭვირნარი. გრძივი და განივი ჭვირნარების შეერთების ადგილებში მიღებულ ცარიელ კვადრატებს ე. წ. „ობობებით“ ავსებენ.

ჭვირნარი „სვეტი“

ქსოვილიდან უნდა გამოვგლიჯოთ 3-4 ძაფი. სამუშაო ძაფი 2-3 ძაფად გამოწელილი ზოლის მარცხენა მხარის ბოლოში დავამაგროთ, გამოვიყვანოთ ის ქსოვილის წინა მხარეს და, ქსოვილის შიდა მხრიდან, მისი გამოყენებით შევკრათ 3-4 ცალი ვერტიკალური ძაფი. სამუშაო ძაფი, მარცხნიდან მარჯვნივ, ერთჯერ შემოვახვიოთ. ნემსი ქსოვილის ზედაპირის შიდა მხრიდან მის გარე მხარეზე, მომდევნო გვირისტამდე, ჭვირნარის კიდიდან 2-3 ძაფით ქვემოთ გამოვიყვანოთ.

ჭვირნარი „ხოჭო“

ჯერ გააკეთეთ ჭვირნარი „სვეტი“. ამის შემდეგ, ჭვირნარის შუაში, ძაფით შექმნილი ყულფით, ერთად შეაგროვეთ სამ-სამი სვეტი და თითეოეული სამეულისათვის გააკეთეთ ყულფი. ყულფი შეიძლება გაუკეთდეს არა სამ-სამ, არამედ ორ-ორად არებულ სვეტებსაც.

ჭვირნარი „პანკა“





ფართე ჭვირნარის შუაში დატოვეთ 3-4 ძაფი (ისინი არ ამოაძროთ). პირველი გვირისტით, სამუშაო ძაფით დავფაროთ დატოვებული ძაფები ქვემოდან ზემოთ. დიაგონალის გასწვრივ, გავატაროთ ის მათ ქვეშ, გამოვიყვანოთ ქსოვილის წინა მხარეზე (პირველი გვირისტიდან, 4-6 ძაფის ტოლ მანძილზე) და დავაბრუნოთ ის პირველი გვირისტის გაკეთების დაწყების ადგილზე ანუ ძაფი გამოვიყვანოთ ჰორიზონტალურად მარჯვნიდან მარცხნივ. ამის შემდეგ, ძაფი გადავაადგილოთ დიაგონალურად ზემოთ და მისი გამოყენებით შემოვუჭიროთ ძაფის ქვედა ნაწილი, ხოლო ძაფის ზედა ნაწილის შემოსაჭერად, ძაფი ვამოძრაოთ დიაგონალურად მარჯვნიდან მარცხნივ ქვემოთ.



ამ სახის ჭვირნარის საფუძველზე სრულდება ზოგიერთი სხვა, უფრო რთული, ჭვირნარი. ქსოვილის ძაფები, რომლებიც „პანკის“ ორ რიგს შორისაა, სხვა ფერის ძაფებთან ხლართავენ. ძაფების ორ რიგს შორის მოთავსებული ფართე ზოლი კი შეიძლება ამოიქარგოს ვერტიკალური გვირისტებით ან „თიკანი“-ს ტიპის ნაკერით. თუ „პანკა“ ქსოვილის კიდის სიახლოვესაა გაკეთებული, მას ჩადგმას უწოდებენ.

ჭვირნარი „ტილოსებური“

ამისათვის, მას შემდეგ რაც გააკეთებთ „პანკის“ ზედა რიგს და შეუდგებით მისი ქვედა რიგის შესრულებას, ერთდროულად შეასრულეთ „ტილოსებური“ ჰაეროვანი მარყუჟები. ამისათვის, ძაფით აკეთებენ „პანკის“ ორ ვერტიკალურ სვეტს და ზემოთ-მარცნივ მოძრაობით ძაფს მარყუჟით ორივე სვეტს შემოახვევენ, რის შემდეგაც ძაფი გადის ზემოთ და აკეთებს მარყუჟს „პანკის“ ზედა რიგში, ასევე მარყუჟს აკეთებენ ორ მარჯვენა სვეტზე და კვლავ ეშვებიან ქვემოთ - ბრუნდებიან მარუჟის დასაწყისთან. მომდევნო მარყუჟის გასაკეთებლად, საჭიროა გავაკეთოთ „პანკის“ ოთხი ახალი სვეტი და ყულფი გავაკეთოთ, მარცნიდან მარჯვნივ, 4-ე და 5-ე სვეტებს შორის.

ჭვირნარი „დაფენვით“



ჯერ უნდა გააკეთოთ ჭვირნარი სვეტი. შემდეგ, მარჯვნიდან მარცხნივ, მიღებულ სვეტებს მსხვილი ძაფით გამოკემსავენ.

„ობობა“



სამუშაო ძაფი ჯერ კვადრატის დიაგონალების გასწვრივ გავჭიმოთ, ხოლო შემდგომ ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, შემოვახვიოთ ის. ამასთან ბოლო ძაფი მხოლოდ შუამდე შემოვახვიოთ. დაჭიმული ძაფის ყველა გადაკვეთის ადგილებში უნდა გავაკეთოთ ნასკვები. „ობობა“ მიიღება როცა ძაფს ვამოძრავებთ წრის გარშემო და ამავროულად მოვახდნთ ძაფების ერთმანეთთან გადახლართვას. შემოვუვლით რა წრეს, დაჭიმული ძაფი ძაფითვე დავიჭიროთ და უკან შემოვაბრუნოთ, ძაფები გადავხლართოთ შებრუნებული თანმიმდევრობით. ასე უნდა გავაკეთოთ რამდენიმე წრე. ბოლო წრის გაკეთების შემდეგ, ძაფი უნდა დავამაგროთ შემოუხვეველი ძაფის გვერდით და ბოლომდე შემოვახვიოთ მას. კვადრატის კიდეები გავამაგროთ მჭიდრო ნასკვისებური ან ნაცური ნაკერით.

გადაწვნის (დაგრეხვის) გზით დაგვირისტების ხერხი. ამ სახეობის ქარგვის საფუძველს წარმოადგენს ბადე, რომელზეც ნახატის გადატანა ხდება. ბადის მოსამზადებლად, მომავალი უზორის კონტურის ორგვლივ ქსოვილს ერთი ძაფს შემოაცლიან და ნემსით, მის ნაცვლად, ფერად ძაფს ატარებენ. ამასთან, ნემსითვე უნდა მოვახდინოთ, ფერადი ზაფის ზემოთ და ქვემოთაც, 3-3 ძაფის დაჭერა. შემდეგ, ქსოვილს ქარგებში დებენ. ფერად ძაფზე მყოფი ქსოვილის გრძივ და განივ ძაფებს წააჭრიან და მოაგლეჯენ. ამის შემდეგ, სამუშაო ძაფით ხდებაგადაწვნა, დიაგონალის გასწვრივ. ბადის შევსების უფრო მარტივი ხერხებია: დაფენა - ძაფით ბადის უჯრების ერთი მიმართულებით გადაკვანძვა.



ერთმაგი და ორმაგი კემსვა. ერთმაგი კემსვა ეს არის პროცესი, როცა უჯრედებს ერთი ჰორიზონტალური და ერთი ვერტიკალური გვირისტით ვავსებთ (წააგავს ქარგვას ჯვრით), ამასთან ყოველ უჯრედში წარმოიქმნება ჯვარი. ორმაგი კემსვა სრულდება იგივენაირად- ამ შემთხვევაში ყოველ უჯრედს გრძივად და განივად ორფენა ძაფით მიაკემსავენ. თავდაპირველად ბადის ზედაპირზე გაჰყავთ და ბადესთან გადაკვეთის ადგილებში შემოახვევენ ერთ გვირისტს, შემდგომ მეორეს აკეთებენ პირველის პარალელურად და ისევ შემოახვევენ და ა. შ. შედეგად, ბადის ყოველ უჯრედში 2 ვერტიკალური და 2 ჰორიზონტალური გვირისტი მიიღება.





„აბლაბუდა“.ამ დროს სამუშაო ძაფს ბადესთან გადაწვნავენ და უჯრედებში ძაფით ჰაეროვან ყულფს აკეთებენ. პროცესს იმეორებენ ხან ზევით, ხან ქვევით, ხან კიდევ დიაგონალის გასწვრივ.

სტლანი. არაგადაგრეხილი ძაფით კემსვა ქსოვილის ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნის. ასეთ შემთხვევაში, ამოსაქარგავი ნახატის ფიგურების შესრულებისას გამოიყენება დგამი. ფონისათვის ახდენენ სხვადასხვა სახის ფერების ძაფების ერთმანეთთან გადაწვნას.



თავისუფალი ქარგვა

ქარგვის ეს სახეები ყოველთვის ქსოვილზე გადატანილი ამოსაქარგავი ნახატის მიხედვით სრულდება. ის განსხვავდება ჯვრით ქარგვისაგან, მაგრამ ასევე მოითხოვს გარკვეულ უნარს და ქარგვისათვის საჭირო ინსტრუმენტების განსაზღვრულ ნაკრების ქონას - ესაა ძაფები, ნემსები (მოკლე და ფართე ყუნწის მქონე), მაკრატელი, სათითე, ქსოვილი, კაუჭი და ქარგები.

ნაცური ქარგვის ყველაზე მეტად ცნობილი და გამოყენებადი ხერხია, მას მრავალი ნაირსახეობა გააჩნია. მისი საშუალებით ასრულებენ მცენარის ყვავილებიან და ფოთლებიან ორნამენტებს, აგრეთვე ზოგიერთ გეომეტრიულ ორნამენტსაც. ამ ხერხით ქარგვა ნებისმიერი სახის ქსოვილზეა შესაძლებელი. ის კარგად ეხამება სხვა სახის ქარგვებს, როგორიცაა: ღეროვანი ნაკერი, „როკოკო“, ქარგვა ჯვრით და სხვა. ამოსაქარგავი ნახატი შეგიძლიათ თვითონ შეარჩიოთ ან შეიძინოთ უკვე მზა საქარგავი ნაკრები.



ცალმხარა ნაცური („ზენაკერი“)

ასეთ ქარგვას იყენებენ მაშინ, როცა მცენარეთა დიდი ნახატების შესრულება ხდება: ბალიშის ზედაპირზე, ძეწარზე, გზა-ხალიჩებზე და ა. შ. ისინი გამოირჩევიან იმით, რომ ამ დროს გვირისტი თითქმის მთლიანად ქსოვილის პირით მხარესაა, მთლიანად ფარავს უზორის საჭირო ადგილებს და ქსოვილის მხოლოდ რამდენიმე ძაფითაა დამაგრებული. ქარგვა ხება მულინეს (6 ძაფი) ან შალის მსხვილი ძაფებით. ჩვეულებრივ, ძაფის ძირითადი ფერია წითელი, რომელიც ლურჯ, ყვითელ, მწვანე და თეთრ ფერებთანაა შეხამებული. „ზენაკერის“ გვირისტები სრულდება არა ერთმანეთთან მიჯრით, არამედ ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე. ქსოვილის პირით მხარეზე მიიღება ძირითადი ნახატი (ნახ. ა), ხოლო მის უკანა მხარეზე, მცირე გადასვლებით, გვირისტები ნახატის გარკვეულ კონტურს (ნახ. ბ) ქმნიან.

მცენარეების ფოთლებს ნაცურით ფარავენ, გვირისტებს ფოთლის შუა ნაწილიდან ორი მიმართულებით, დახრილად აკეთებენ. ამასთან, უნდა დავიწყოთ ფოთლის მახვილი ბოლოდან. კონტურიდან ცენტრისაკენ პირველად გრძელ გვირისტს აკეთებენ (ნახ. გ). ჯერ ავსებენ ფოთლის ერთ მხარეს, შემდეგ კი მეორეს. გვირისტებს ცენტრისაკენ ფერებში განალაგებენ (ნახ. დ).



ნახატის შუა ნაწილებს, როგორც წესი, სხვადასხვა სახის ბადეებით ავსებენ. ბადის მისაღებად, სამუშაო ძაფი უნდა დავჭიმოთ კონტურის ერთი ბოლოდან მის მეორე ბოლომდე, როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. მიღებული ბადის კვანძებს ჯვრებით ან გვირისტის ფორმით რთავენ.

თეთრეულის ნაცური (ანუ ამობურცული) თეთრი ნაცური გამოიყენება თეთრეულის, ცხვირსახოცების, მოსასხამების ქარგვისას. ნახატის კონტურს „ნემსი წინ“ ხერხით ქსოვილზე ამაგრებენ. იმ ადგილების ქვეშ, რომელიც რელიეფური უნდა იყოს, ნაქარგის მომავალი გვირისტების საწინააღმდეგო მიმართულებით, რამდენიმე მსხვილი გვირისტით ამაგრებენ ნაფენს (მაგალითად, ნაფენს დებენ ფოთლის გასწვრივ, ხოლო ნაცურით კერავენ განივად). ამობურცული ნაცურით და სვეტოვანი ნაკერებით ამოქარგულ უზორს, ჩვეულებრივ, ქარგვის სხვა სახეობებს უხამებენ: კვანძებს (რომლებითაც ხდება ყვავილებისა და ფოთლების ნაწილების შევსება). ამ შემთხვევაში, ძაფგაყრილ ნებსზე რამდენიმეჯერ (კვანძის ზომის შესაბამისად)

ახვევენ ძაფს და მას მარცხენა ხელის დიდი თითით იჭერენ, ნემსს კი, მარყუჟებში გატარების შემდეგ, ქსოვილზე ამაგრებენ და ა. შ.

ატლასის ნაცური იქარგება ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი გვირისტებით, როლებიც, ამავე დროს, ბოლოებით ერთმანეთს არ ეხებიან. ამ დროს მულინესა და აბრეშუმის ძაფები გამოიყენება. ნემსში ერთჯერად ძაფს უყრიან, ყოველ მომდევნო გვირისტის მისაღებად ნემსს წინა გვირისტის შუა ნაწილის მახლობლად ატარებენ. ყველა გვირისტი უნდა გაკეთდეს ფოთლის ძარღვის გასწვრივ.

რუსული ნაცური ნაცური სრულდება „ნემსი წინ“ ტიპის ნაკერის სახით, ქსოვილის სწორი ძაფის გასწვრივ. ამ დროს, ნემსიქსოვილის პირითა მხარეს 5-7 მმ-ზე ამოდის,

ხოლო უკანა მხარეს 1 მმ-ზე. მთელი უზორი ერთი მიმართულების მქონე გვირისტებით კეთდება. შემდეგ რიგში გვირისტის გასაკეთებლად ნემსს მეზობელი გვირისტის შუა ნაწილის მახლობად ატარებენ. ქარგვა ისე უნდა შესრულდეს, რომ ორ მეზობელ გვირისტს შორის ქსოვილის ზედაპირი არ მოჩანდეს. ამისათვის, გვირისტების რიგები ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა იყოს მიჯრილი (უმჯობესია გამოვიყენოთ სუსტი ბრუნვადობის ძაფები). რუსული ნაცურით ქარგვისას იყენებენ თეთრ ძაფს კრემისფერ და მყარ ქსოვილზე. მისი გამოყენებით კეთდება, ასევე, წვრილ ბადესთან შეხამებული ფერადი ნაქარგები ბალიშზე, სუფრაზე და ა. შ. ქსოვილზე ბადის ამოსაქარგავად საჭიროა: გავწელოთ ძაფი ქსოვილის მთელ საჭირო ზედაპირზე და წარმოქმნილი ბადის კვანძები, წვრილი დიაგონალური გვირის-ტებით, ქსოვილზე დავამაგ-როთ.

ორმხარა ფერადი ნაცური ნაცურის ერთ-ერთი უმარტივესი სახეა. ის მცირე და საშუალო ზომის მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტების, ინიციალებისა და ემბლემების ქარგვისათვის გამოიყენება. სრულდება როგორც ნაფენით, ასევე ნაფენის გარეშე. ნაცურის გვირისტები სრულდება მოტივის შესაბამისად. შეიძლება გავაკეთოთ არასრული ორმხვრივი ნაცური, ამ დროს გვირისტები მთელ მოტივს კი არ ავსებენ, არამედ ისინი მხოლოდ საზღვრის გასწვრივ კეთდება

.



მხატვრული ფერადი ნაცური (ნაცური „შერწყმით“)

ასეთი ნაცურით შეიძლება მოიქარგოს არა მარტო მცენარეული ორნამენტები, არამედ მცირე პეიზაჟიც. ასეთი ქარგვისას, ერთი და იგივე ფერის რამდენიმე ტონი თანდათან და უწყვეტად გადადიან ერთმანეთში. ამისათვის, უნდა გავაკეთოთ განსხვავებული სიგრძის პირველი ტონის გვირისტები და სიგრძეთა ცვლის შედეგად დარჩენილი ცარიელი ადგილები შევავსოთ იმავე ფერის მეორე ტონის გვირისტებით, რომლებსაც ასევე განსხვავებული სიგრძეები ექნებათ. მეორე ტონის გვირისტები ოდნავ უნდა ფარავდნენ კიდეც პირველი ტონის გვირისტებს, ეს გარემოება ქმნის ტონების უწყვეტად გადასვლის შთაბეჭდილებას. ეს ხერხი სწორედ არადათვლადი ქარგვისათვისაა დამახასიათებელი (მაგალითად, ჯვრით ქარგვის დროს, ქარგვის ტექნიკის დაურღვევლად, სხვადასხვა სიგრძის გვირისტების შექმნა შეუძლებელია).

ჭრილოვანი ნაცური

მას საწოლის თეთრეულისა და ტანსაცმლის (კაბის, მაისურის და სხვა) მორთვის დროს იყენებენ. ის აჟურულ (წმინდა, ბადისებრი), გამარტივებულ მცენარეულ ორნამენტს წარმოადგენს. მას ისევე ასრულებენ, როგორც ნასვრეტებს საწოლის ნაცურის დროს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოტივის ფორმა შეიძლება იყოს არა მარტო აუცილებლად მრგვალი. ნაცურის ლილვაკი თითქოს მის ფორმაზე მიგვითითებს.

„როკოკო“



ეს ქარგვა მხოლოდ მცენარეული ორნამენტების შესრულების დროს გამოიყენება. ამობურცული ფორმებით, ის ავსებს გლუვ ზედაპირებს და მას რელიეფურობას ანიჭებს. ამ სახის ქარგვისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მულინე, შალისა და სინთეთიკური ძაფები. ნემსი უნდა იყოს მსხვილი და პატარა ყუნწით. „როკოკო“ საჭიროა შევუხამოთ ქარგვის სხვა ფორმებს. მას შემდეგნაირად ასრულებენ: დავამაგროთ ძაფი ქსოვილის უკანა მხარეზე და ნემსი მის პირით მხარეს გამოვიტანოთ. ნემსი ქსოვილში შევარჭოთ და მის ბოლოზე ძაფი დავახვიოთ. დახვეული ძაფები თითებით დავიჭიროთ და ნემსი მათ შორის გავაძვრინოთ. ამის შემდეგ ნემსი კვლავ ქსოვილში შევარჭოთ და მის უკანა მხარეს გავიტანოთ. ნაქარგის ზომა დამოკიდებულია ნემსის ბოლოზე დახვეული ძაფის რაოდენობაზე. თუ თქვენ გადაწყვეტთ ორიგინალური ნახატით მორთოთ თქვენი ტანსაცმელი, თეთრეული, სუფრა ან ცხვირსახოცი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ ქარგვის რა მეთოდს აირჩევთ. როგორ ნაცური ასევე ქარგვა ჯვრით -ორივე მშვენიერი იქნება, თუ ნახატი გულითაა ამოქარგული. ოსტატობა ყოველთვის გამოცდილების შედეგეია. რაც უფრო მეტს მოქარგავთ, მით უფრო აკურატული და ლამაზი იქნება თქვენი ნამუშევარი. თუ თქვენ დიდი გამოცდილება ჯერ არა გაქვთ, ნუ შეეცდებით რთული ნამუშევრების შესრულებას, რადგანაც ეს დიდ გაწაფულობასა და მოთმინებას მოითხოვს.

ოქრომკედით ქარგვის ტექნიკა

1. საქარგავი მასალები, ინსტრუმენტები და სამარჯვები (ან ხელსაწყოები)

<u>ქსოვილები.</u> ხელით შესრულებული ნაქარგობით შემკული ძვირფასი საეკლესიო ნივთი ხანგრძლივი ექსპლოატაციისათვისაა გათვალისწინებული, ამიტომ ნაქარგობისათვის გამოყენებული ქსოვილები უმჯობესია იყოს ნატურალური რადგანაც ისინი დიდხანს ინარჩუნებენ თავდაპირველ თვისებებს (სიმტკიცეს, გარეგნულ იერს).

ნაქარგობა ყოველთვის სრულდება ორ ქსოვილზე. ნაქარგობის ფონისათვის უმეტესად გამოყენებულია ერთი ტონალობის სადა ან ფაქტურული ზედაპირის მქონე (ხავერდოვანი, ატლასი) ქსოვილი, რომელიც დუბლირებულია დამხმარე ქსოვილით (სხვადასხვა სისქის ტილო, სელი, ტიკი, ბამბის ქსოვილი დასხვა).

მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია ქსოვილების ისე დამუშავება, რომ ისინი მაქსიმალურად იქნას შეკლებული, გაევლოს ცხელ წყალში და შემდეგ გაუთოვდეს. ხავერდის ქსოვილი უნდა დაეფინოს ხაოიან პირსახოცზე და დაინამოს უკუღმა მხრიდან.

<u>ძაფები.</u> საეკლესიო ნაქარგობისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ძაფები. უპირატესობა ენიჭება ნატურალურ მასალებს. სახოვან ნაქარგობებში გამოყენებულია სხვადასხვა ფერისა და სისქის ნატურალური აბრეშუმის ძაფები. ძველად საეკლესიო დანიშნულების ნივთების მოსაქარგად გამოიყენებოდა შეგრეხილი ან შლილი აბრეშუმი, როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე შემოზიდული სპარსეთიდან, ჩინეთიდან და დასავლეთ ევროპიდან. ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნიმუშებზე (საბუხართა წყვილი კაცხის მონასტრიდან -1312 წ.) საქარგავად გამოყენებულია ოქროს თმა და ზეზი, რომლებიც ადგილზეა დამზადებული – შეგრეხვის მხოლოდ საქართველოში დადასტურებული ტრადიციით. XVIII საუკუნიდან ხმარებაშია კლაპიტონი (იგივე კლანჭური, ჭიმური) – სპირალურად დახვეული ოქროს თმა.

თანამედროვე ოქრომკედი სხვადასხვა სახისაა – დართული ან შეგრეხილი, კოჭაზე ან ბობინაზე დახვეული.

დართული მკედით შესრულებულ ნაქარგობას აქვს სადა, მბზინვარე (მბრწყინავი) ლითონის მსგავსი ზედაპირი. შეგრეხილი ძაფით შესრულებულ ნაქარგობას აქვს განსხვავებული ფაქტურა, უფრო შერბილებული, გაბნეული ბზინვა. კიდევ უფრო მქრქალი ზედაპირი წარმოიქმნება სხვადასხვა ფერის ზეზისაგან (აბრეშუმის ან სელის ძაფი, რომელზეც დახვეულია ვერცხლის ან ოქროს ძაფი, ისე, რომ არ არის დაფარული ძირითადი (ქსელის) ძაფი. შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ფაბრიკული ზეზი, ისე ხელით დამზადებული.

ყველა დასახელებული სახეობის ძაფები ერთმანეთს ავსებს, ამდიდრდებს და კარგად ეხამება.

მეტალიზებეული ძაფების ჩასამაგრებლად გამოიყენება სხვადასხვა სისქის აბრეშუმის, ბამბისა და თანამედროვე – ხელოვნური ძუის ტიპის მტკიცე და ასევე არმირებული ძაფები. მარგალიტის დასამაგრებლად გამოიყენება №10 არმირებული

ძაფი. ნაფენისათვის გამოიყენება ბამბის, სელის და სხვა ძაფები და სხვადასხვა სისქის ზონარები.

<u>**ინსტრუმენტები.**</u> ოქრომკედით ქარგვისათვის საჭირო იარაღებია: ნემსები, სათითე, მაკრატელი, მასრა, სადგისი და ქარგა.

<u>**ნემსები.**</u> საჭიროა სხვადასხვა სიგრძისა და სისქის (სიმსხოს) რამოდენიმე ნემსი – სხვადასხვა ძაფებისა და ქსოვილებისათვის.

მაკრატელი. ნაქარგობაზე ძაფის შესაჭრელად მოსახერხებელია მცირე, ან საშუალო ზომის მაკრატელი, ქსოვილის დასაჭრელად კი დიდი მაკრატელი.

სათითე. ოქრომკედით ქარგვისას პრაქტიკულად ერთნაირად მუშაობს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელი (მარცხენა–ქვევით, მარჯვენა–ზევით), ამიტომ საჭიროა სათითე ორივე ხელისათვის. სათითე კარგად უნდა იყოს მორგებული თითზე.

მასრა – კოჭა გრძელი (ჩვეულებრივ 23სმ) დამზადებულია მაგარი ხის მასალისაგან (ნახ.1). მასზე ახვევენ ოქროს ან ვერცხლის ძაფს. ასეთი მასრის საშუალებით მკედი ხელთან შეხებაშიც აღარაა, დაცულია ზედმეტი ხახუნისაგან და ბზინვარებას არ კარგავს. იმისათვის, რომ ოქრომჭედმა კოჭზე არ ისრიალოს, მასზე პირველ ფენად ბამბის ან სელის ძაფი უნდა დაეხვას, რომლის ბოლოზე ოქრომკედი მიენასკვება და უბრალო ძაფის ზევით დაეხვევა.

სადგისი. სადგისს უნდა გაუკეთდეს ჩვეულებრივი ნემსი, რომლის დახმარებით ქსოვილს ჩხვლეტენ იმ ადგილას, სადაც იწყება ან მთავრდება გვირისტულა. თუკი ქსოვილი რბილია, სადგისის გამოყენება აუცილებელი არ არის, მაგრამ ისეთი ქსოვილი, რომელზეც ნემსის ყოველი არაზუსტი ჩხვლეტა კვალს ტოვებს, შეუძლებელია მოიქარგოს სადგისის გარეშე. აუცილებელია წინდაწინ, ქვევიდან, სადგისით გაიჩხვლიტოს ის ადგილი, სადაც უნდა გაკეთდეს გვირისტულა.

მასრისა და სადგისის გარდა გამოიყენებენ ხის ან ძვლის პატარა ნიჩბისებურ სამარჯვს, რომლის საშუალებით ნაქარგობის ნაპირს მიაბრჯენენ (მიაჭდობენ) ან ასწევენ თანაბრობის მისაღებად. ძალზე მოსახერხებელია ერთმანეთთან შეერთებული სადგისისა და ნიჩბის გამოყენება – როცა ერთ მხარეს ნემსია და მეორე მხარეს ნიჩაბი.

<u>**ქარგა.**</u> ქარგის (იგივე ჯალდა) ძირითადი დანიშნულებაა ქსოვილის გაჭიმულ (გაწონასწორებულ) მდგომარეობაში შენარჩუნება ნაქარგობის შეკუმშვის (მოჭმუჭვნის) თავიდან ასაცილებლად. ქარგა ძირითადად ორი სახისაა – მრგვალი და მართკუთხა. ამ ბოლო დროს მრავალი სხვადსხვა საახის მზა ქარგები გამოჩნდა: სამკუთხა, კვადრატული, ელიფსური, ოვალური. მრგვალი ქარგა ორი ხის რგოლისაგან შედგება, რომელთაგან ერთ–ერთის დიამეტრი მეორეზე ოდნავ მცირეა. მასზე მინიატურული და მცირე ზომის ნაქარგობა სრულდება, რომლებიც ზომით არ არის ქარგაზე დიდი. მართკუთხა (დიდი)ოქრომკედით ქარგვისას ყველაზე უფრო მოსახერხებელი შვეიცარული მრგვალი ქარგაა (ნახ.3). მის შიგა რგოლს აქვს სახელური და ხრახნი, რომლითაც ის ემაგრება მაგიდას. იმისათვის რომ ქარგვის პროცესში ორივე ხელი

მონაწილეობს, ქარგა უნდა იყოს დამაგრებული. შიგა რგოლზე საჭიროა დაეხვეს თხელი ქსოვილის ზოლი, მასზე გადააფარებენ გასწორებულ ქსოვილს და ჩამოაცმევენ გარე რგოლს (რომელიც მჭიდრიდ უნდა მოერგოს შიგას). თუკი ქსოვილი ქარგაზე მცირე ზომისაა, მას გაზრდიან წინდაწინ, ყველა მხრიდან, ბიაზის ქსოვილის მიკერებით. დასაქარგი არე (უზორი, ორნამენტი) უნდა მდებარეობდეს ქარგის ცენტრში.

ოქრომკედით ქარგვისას ჩვეულებრივ ასაწყობ, მართკუთხა ქარგას იყენებენ (ნახ.4). ქარგის ყველა დეტალი კარგად გამომშრალი ხის მასალისაგან მზადდება, ისინი უნდა იყოს კარგად დამუშავებული (გაპრიალებული, ხიწვების გარეშე). მართკუთხა ქარგა შედგება ორი ძირითადი, შედარებით მასიური (1) და ორი განივი (ბრტყელი, უფრო მცირე ზომის) ფიცრისაგან (2), რომლებსაც ბოლოებში გაკეთებული აქვთ ნახვრეტები პალოსებრი სარჭებისათვის (4); ორი მრგვალი, მაგარი ხის, ან ლითონის ღეროსაგან (3). ღეროები გაყრილია მოსაქარგ მასალასთან ორ მოპირდაპირე მხარეს მიკერებულ ორადმოკეცილ ბიაზის ქსოვილში (5), რომლებსაც გაკეთებული აქვთ ჭრილები თოკისათვის (7); მოსაქარგი მასალის დანარჩენ ორ მოპირდაპირე გვერდზე მიკერებული მყარი ქსოვილის ზოლი (6) ჭიკარტებით დამაგრებულია მასიურ ფიცარზე (1).

მართკუთხა ქარგა

დასაქარგ ქსოვილს ძირითადად ფიცრებზე (1) ქსელის მიმართულებით ამაგრებენ, მაგრამ არსებობს ნაქარგობები, რომლებშიც ქსელისა და მისაქსელის მიმართულებას მნიშვნელობა არ აქვს, ასეთებია რელიეფური ნაქარგები მუყაოს გამოყენებით (ნაცურით და ოქრომკედით) – მუყაო ინარჩუნებს ფორმას. ბიაზის ზოლების თამასა-ფიცარზე დამაგრებისას მათი შუა წერტილები ერთმანეთს უნდა დაემთხვას, რისთვისაც აუცილებელია მოინიშნოს შუა წერტილები ქსოვილზეც და ფიცარზეც და შემდეგ მყარად შეერთდეს ხელის ან მანქანური ნაკერით.



ქართული ტრადიციული ოქრომკედით ნაქარგობის სახეები

ოქრომკედით ქარგვისას ჩვეულებრივ ორი ძაფი გამოიყენება, თავად ოქრომკედი, რომელიც განლაგდება ქსოვილის სახით მხარეს დ სამუშაო ძაფი, რომლითაც ხდება ოქრომკედის ჩამაგრება ნაპირებში. ნემსი სამუშაო ძაფით ქსოვილის უკუღმა მხარესაა განლაგებული და მხოლოდ ჩამაგრების მიზნით გამოიყენება, ის ქსოვილის უკუღმა პირიდან ვერტიკალურად გადის ქსოვილში, შემოეტარება ოქრომკედს და პირველი ნახვრეტის გვერდით, ისევ ვერტიკალურად გადის ქსოვილის უკუღმა მხარეს. ნემსითა და ძაფით ჩამაგრების შემდეგ ოქრომკედს მოჭიმავენ სასურველ მდგომარეობამდე. ჩამაგრების სხვადასხვაგვარად შესრულებისას მიიღება ნაქარგობის სხვადასხვა სახეები: ირიბული, კალმური, ყაისნაღური, კლერტული, ჭვირული, კილოური, კალათური, თევზიფხური და ა.შ.










ფარეშლების ძაფის ჩაძაფვრები
ქსოვის ნაფენი
ოქროქსოვის ძაფი
პირული სითეთე
ფარეშლების ძაფი
ქსოვის ძაფის ნაფენი
ოქროქსოვილის ძაფი
ტანური სითეთე


ლიტეკილი
ყილიტები
ხეგერდის ირმა
ოქროსფერის ენაკვი
ოქროსფერის ბუზუნები
ყილიტოვანი ნაპაგური სიფონი


ბაბლის ნაგვები
ჩამაგრების ძაფი
ოქროსფერის ბუზუნები